ხელშეკრულება №153
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა მ.ბ 421/02)
SMP220003746

- 24 - მაისი 2023 წ.

თბილისი

ერთი მხრივ სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (მისამართი: ქ. თბილისი, ინოვაციების ქუჩა 7, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, სკ-204582521), შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**", წარმოდგენილი მისი **თავმჯდომარის ავთანდილ კასრაძის** სახით და მეორე მხრივ **შპს ბენე ექსკლუზივი ს/კ: 406265624, (საბანკო რეკვიზიტები: ბანკის დასახელება:** JSC HALYK BANK GEORGIA ა/ა GE83HB0000000020643602, ბანკის კოდი: **HABGGE22**), წარმოდგენილი **გენ. დირექტორის ზურაბ ბასილაიას** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის **2023 წლის 23 იანვრის №159** განკარგულების თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომში _ `ხელშეკრულება~) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 `ხელშეკრულების ღირებულება~ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 `დღე~, `კვირა~, `თვე~ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 `შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 `მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 `მომსახურება" _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

მიმდინარე წლის 25-26 მაისს, „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში ქ. თელავში, თანამშრომლებისათვის ტრანსპორტირების, ხოლო 29-30-31 მაისს და 01 ივნისს, ქ.ბათუმში სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში მოწვეული საინვესტიციო კომისიის წევრებისა და სააგენტოს თანამშრომლებისათვის ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა

(CPV-60171000).

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **9,100.00 (ცხრა ათას ასი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ით.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, 2023 წლის 25-26 მაისს ქ.თბილისი-თელავი-თბილისი, ხოლო 29-30-31 მაისს და 01 ივნისს, ქ.ბათუმში.

ბ) განიხილოს **შემსყიდველის** პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

5.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სფეროში დადგენილ სტანდარტებს და ხელშეკრულებაში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს **ლოჯისტიკის მენეჯერი - ლაშა მიდელაური.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7.მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, თუ მიღება-ჩაბარების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება შემდეგ სამუშაო დღეს რაც არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო: **2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი**

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს, მხოლოდ გაწეული მომსახურების ღირებულება, ხოლო აუთვისებელი თანხა რჩება შემსყიდველ ორგანიზაციასთან და მხარეებს ერთმანეთთან არ გააჩნიათ პრეტენზია.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%-**ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველის ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0.02%-**ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ელექტრონული დამოწმების დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15.ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16.სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია ელექტრონული ფორმით.

17.მხარეები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	შპს ბენე ექსკლუზივი

Zurab Basilia 61001073924

Digitally signed by Zurab Basilia
Date: 2023.05.24 15:44:35

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW GEORGIA S INNOVATION AND TECHNOLOGY AGENCY

Digitally signed by LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW GEORGIA S INNOVATION AND TECHNOLOGY AGENCY
Date: 2023.05.24 15:54:14 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვიზირებულია:

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ **№-153** ხელშეკრულებით (გამარტივებული შესყიდვა) განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

თავმჯდომარე	ავთანდილ კასრაძე
ლოჯისტიკის მენეჯერი	ლაშა მიდელაური
სახელმწიფო შესყიდვების მენეჯერი	მარინა აბაშიძე